შემოსავლების განაწილების ფილოსოფიური დოქტრინები

პარმენ ლემონჯავა
ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, მოსახლეობის მიერ, ყველა სახის შესრულებულ სამუშაოდან მიღებული ფულისა და ფულით გამოხატული მატერიალურ-ნივთობრივი შემოსავლების ერთობლივი ჯამი არის მოსახლეობის შემოსავალი.

საბაზრო ეკონომიკის ხასიათისათვის დამახასიათებელია ამ შემოსავლების განაწილების უთანაბრო განაწილების პრინციპი. ამ პრინციპის არსიდან გამომდინარე ძირითადი მიზეზების გარდა აქ არსებობს ეკონომიკური უთანასწორობის კონკრეტული დეტერმინანტებიც.

ადამიანები, თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფიზიკური და გონებრივი უნარით. ვისაც მაღალი ფიზიკური და ინტელექტუალური უნარი აქვს, ასეთ ადამიანს შეუძლია ისეთის სახის სამუშაოს შესრულება, რომელიც მოითხოვს სპეციფიკურ კვალიფიკაცია,ს ნიჭიერებას და ანაზღაურებასაც მეტს მიიღებს. მაგრამ ადამიანებს, რომლებსაც ზემოთაღნიშნული უნარები ნაკლებად აქვთ, ისინი იძულებული არიან იმუშაონ დაბალანაზღაურების სამუშაოზე და შესაბამისად დაბალ ანაზღაურებასაც ღებულობენ, რაც განაპირობებს განსხვავებულ უნარების მქონე ადამიანებს შორის შემოსავლების რაოდენობრივ უთანასწორობას.

უთანასწორობის რაოდენობრივ განსხვავებაში მნიშვნელოვანია კონკრეტულად სპეციფიკური განათლების დონე. ადამიანები არსებითად განსხვავდებიან სპეციფიკური განათლების დონით და, აქედან გამომდინარე, პროფესიებით. ადამიანები არიან სხვადასხვა პროფესიის და ამიტომ შემოსავლების მიღების თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომლებიც შემოსავლების უთანასწორობის რაოდენობრივი გამოხატულებაში პოვებს ასახვას.

შემოსავლების უთანასწორობის რაოდენობრივი განსხვავებისათვის მნიშვნელობა აქვს შესასრულებელი სამუშაოს ხასიათს. ასე მაგალითად, მაღაროელი, რომლის სამუშაო უფრო მძიმეა და ამიტომ უფრო მეტ ანაზღაურებას ღებულობს, ვიდრე გამყიდველი. პიროვნებათა შემოსავლის რაოდენობრივ განსხვავებას განაპირობებს აგრეთვე ორ ადგილზე მუშაობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე საკუთრება დიდი დეტერმინანტია ადამიანებს შორის შემოსავლების უთანაბრობის ჩამოყალიბებაში. ადამიანთა იმ ნაწილს, რომლებსაც წილად ხვდათ მემკვიდრეობით მიეღოთ დიდი რაოდენობით დანადგარი მოწყობილობანი, ისინი მათი გამოყენებიდან მეტ შემოსავალს ღებულობენ, რაც ანსხვავებს უთანასწორობას. შემოსავლების რაოდენობრივ განსხვავებას განაპირობებს საქონლისა და მომსახურების ფასების ხელოვნური გაზრდა. მაგალითად, ლიცენზიების გაცემაზე, მძღოლებისათვის მართვის მოწმობების გაცემისათვის და სხვა მომსახურებისათვის ფასების ხელოვნური ამაღლება.

შემოსავლების უთანასწორობის მიზეზი შეიძლება იყოს საჭირო დროში სპეციალისტის ყოფნა. შეიძლება საჭირო პროფესიის სპეციალისტი, იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდა იქ, სადაც საჭიროა, მაშინ მას მეტი ანაზღაურებაც მიეცეს. შემოსავლების უთანასწორობის არსებობის პირობა არის ასევე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო მოსახლეობის ხელფასებს შორის სხვაობა. ასე მაგალითად: ირანის, თურქეთის, ფილიპინების, მექსიკის არასასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ხელფასი 2-ჯერ აღემატება იმავე რეგიონის სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის ხელფასს.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დეტერმინანტებიდან გამომდინარე შემოსავლების უთანაბრობის ხარისხი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში, რომლის ილუსტრირება შეიძლება აშშ მაგალითზე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატებში, ამერიკული ოჯახების 0,35%-ტი ფლობს, ქვეყნის მთლიანი პირადი ქონების სიდიდის – 35%-ს, მაშინ, როცა უფრო დაბლა მყოფი ოჯახური მეურნეობის 90%-ს ეკუთვნის 30%-ტი.

შევეცდები ქვემოთ მოტანილ ცხრილში კონკრეტულად უჩვენო ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთ სამეურნეოდ დაყოფილ ოჯახების საშუალო წლიური შემოსავლების პროცენტული განაწილება.

მოსახლეობის შემოსავლების პერსონ-

№	ოჯახების რაოდენობა	შემოსავლები დოლარებში	პროცენტი
1	14.999	10 000	6,9
2	24.999	15 000	15,0
3	34.999	25 000	14,3
4	4300	35 000	18,0
5	74.999	50 000	17,2

ალური განსხვავების პრაქტიკულად გამოსახატავად გამოიყენება „ლორენციის მრუდი”

ლორენციის მრუდი გვიჩვენებს მთლიან ეროვნულ პროდუქტში რა წილი ეკუთვნის მოსახლეობის თითოეულ პერსონალს. რაც უფრო შორსაა მრუდი დიაგონალისაგან, მით უფრო არათანაბარია მთლიანი ეროვნული პროდუქტის პერსონალური წილი. აქედან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ლორენციის მრუდი გრაფიკულად გამოხატავს და გვიჩვენებს შემოსავლების განაწილების ხარისხს მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით და რეალური შემოსავლების მრუდის გადახრის სიდიდეს აბსოლუტური თანასწორობის მრუდიდან.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს მოსახლეობის შემოსავლების განაწილების მიმართ ძირითადად სამი ფილოსოფიური ხასიათის დოქტრინა.

მოსახლეობის შემოსავლების განაწილების ფილოსოფიური მეცნიერების ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს უტილიტარიზმი, რომლის ფუძემდებლები არიან ინგლისელი ფილოსოფოსები: ჯერემი ბენთამი (1748-1832) და ჯონ სტიურტ მილი (1806-1873).

უტილიტარიზმის მიმართულების ამოსავალ საფუძველს წარმოადგენს სარგებლიანობა, რომელსაც პიროვნება ღებულობს გარკვეულ სიტუაციაში. სარგებლიანობა, როგორც ცნობილია საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველია და კერძო საქმიანობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. უტილიტარისტები ასაბუთებენ, რომ მთავრობის მთავარი მიზანი საზოგადოების ყველა წევრის სარგებლიანობის მაქსიმიზაციაა. ამასთან აქ, ერთ მარტივ ჭეშმარიტებაზე უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. ღარიბის შემოსავლის ერთი დამატებითი ფულადი ერთეულით გაზრდა უფრო მეტ კმაყოფილებას ანიჭებს დაბალ შემოსავლის მქონეს, ვიდრე



მდიდარს. სხვანაირად რომ ვთქვა, რომელიმე პიროვნების შემოსავლი ერთი ერთეულით თუ იზრდება, მაშინ მისი სარგებლიანობა იზრდება. ამის ილუსტრირება მარტივად შეიძლება.

ვთქვათ, ვანოს შემოსავალი 80.000 ლარია, ხოლო გიორგის კი 20.000 ლარი, ამ შემთხვევაში ვანოსათვის 10.000 ლარის გამორთმევა და გიორგისათვის გადაცემა, ვანოს შემოსავლის შემცირებას გამოიწვევს, ხოლო გიორგის სარგებლობას გაზრდის. შემოსავლების ასეთი გადანაწილება საერთოდ ყველას მთლიანი სარგებლობის ზრდას იწვევს, რაც უტილიტარისტების დასაბუთების მიზანს წარმოადგენს და დაბეჯითებით ამტკიცებენ.

მოვიყვანოთ ასეთი ცხოვრებისეული მეორე მაგალითიც. ვანო და გიორგი მოგზაურები არიან და უდაბნოს სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან. ვთქვათ, ვანოს ოაზისში ბევრი წყალია, ხოლო გიორგის ოაზისში კი ცოტა. ასეთ შემთხვევაში თუ მთავრობა ვანოს ოაზისიდან წყალს გიორგის ოაზისში გადაქაჩავს, მაშინ ის შეძლებს ორივეს სარგებლიანობის მაქსიმიზაციის მიღწევას.

ფილოსოფიურ მეცნიერებაში მოსახლეობის შემოსავლების განაწილების შესახებ არებობს კიდევ ერთი მიმართლება – ლიბერალიზმი, რომლის თეორია ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონ როულზმა თავის წიგნში „სამართლიანობის თეორია", რომელიც გამოსცა 1971 წელს.

ჯონ როულზმა ამ წიგნში დასაწყისშივე გამოთქვა მოსაზრება, იგი გვთავაზობს, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტები, კანონები და პოლიტიკა სამართლიანი უნდა იყოს. სამართლიანობა, მისი შეხედულებით, თავისი პრინციპებით სამართლიანი შეთანხმებისა და მოლაპარაკების შედეგია. ჯონ როულზი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიზანი უნდა იყოს ყველაზე უარეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ეკონომიკური მდგომარეობის კეთილდღეობის გაზრდა. ამ შეხედულებით ჯონ როულზი გვთავაზობს, უტილიტარისტული თეორიის მომხრეთა შეხედულების ნაცვლად, რომლებიც გვთავაზობენ ყველა ადამიანის სარგებლიანობის „მინიმალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციას", რომელიც „მინიმაქსის კრიტერიუმის" სახელწოდებით არის ცნობილი. „მინიმაქსის კრიტერიუმის" შესაბამისად, მთავრობა მიზნად უნდა ისახავდეს საზოგადოების უღარიბესი პიროვნების კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. აქედან გამომდინარე მინიმაქსის კრიტერიუმი მხარს უჭერს და ამართლებს სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც მიმართულია შემოსავლების „თანაბრი განაწილებისაკენ."

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს „მინიმაქსის კრიტერიუმს" შემოსავლის თანაბარი განაწილებით არ მივყავართ, როგორც ჯონ როულზიც ამბობს სრულიად სასურველ საზოგადოებასთან„ რადგან თუ მთავრობა შემოსავლების განაწილების გათანაბრებას იკისრებს, მაშინ ადამიანებს არ ექნებათ ბეჯითი შრომის სტიმული და საზოგადოების მთლიანი შემოსავალი შემცირდება. ეს კი მიუთითებს ჯონ როულზი, გააუარესებს ღარიბი ადამიანის ეკონომიკურ მდგომარეობასაც.

აქედან გამომდინარე, „მინიმაქსის კრიტერიუმის წესი საბოლოოდ დასაშვებად მიიჩნევს შემოსავლების უთანასწორობას, რადგან ეს გააძლიერებს შრომის სტიმულს და შექმნის შესაძლებლობას მეტი დახმარება გაუწიოს ღარიბ ადამიანებს. ასეთი მოწყობით ჯონ როულზის ფილოსოფიის მიხედვით უფრო მეტად მოხდება გადანაწილება შემოსავლების ღარიბების სასარგებლოდ, ვიდრე ამას მოითხოვენ უტილისტარისტული თეორიის მომხრეები, ამიტომ უკეთესია გამოინახოს სახელმწიფოს პოლიტიკა, როცა სახელმწიფოს პოლიტიკა იქნება საზოგადოების წევრების საშუალო სარგებლიანობის მაქსიმიზაცია.

შემოსავლების განაწილების შესახებ შეხედულება განხილულია კიდევ ერთ ფილოსოფიურ მიმართულებაში, რომელიც ცნობილია ლიბერტარიანიზმის სახელწოდებით.

ჩემს მიერ განხილული ორი თეორია – უტილიტარიზმი და ლიბერალიზმი საზოგადოების მთლიან შემოსავალს განიხილავს, როგორც განაწილებულ სიდიდეს, რომელსაც მგეგმავი პიროვნება თავისუფლად გადაანაწილებს ამა თუ იმ სოციალური მიზნების მისაღწევად.

ამ შეხედულებებისაგან განსხვავებით ლიბერტარიანიზმის თეორია ასაბუთებს, რომ საზოგადოება საერთოდ არანაირ შემოსავალს არ ქმნის. შემოსავალს ქმნის მხოლოდ საზოგადოების ინდივიდუალური წევრი. აქედან გამომდინარე, ლიბერტარიანიზმის შეხედულებით მთავრობამ არ უნდა წაართვას ერთს და გადასცეს მეორეს. ამ მიმართულების ფუძემდებელია ფილოსოფოსი რობერტ ნოზიკი. ამერიკელი ფილოსოფოსი ნოზიკი თავის წიგნში „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია" (1974), უარყოფს არამარტო საერთოდ უთანასწორობის თემაზე მსჯელობას, არამედ იმაზეც, თუ უთანასწორობის რა დონეა მისაღები საზოგადოებისათვის.

ლიბერტარიანები აღნიშნავენ, რომ შესაძლებლობათა თანასწორობის უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შემოსავლიანობის თანას-

წორობა. ლიბერტარიანების აზრით მთავრობამ უნდა გააძლიეროს ინდივიდთა უფლებები, რათა ყველას ჰქონდეს თავისი შესაძლებლობებისა და უნარის გამოვლენის შესაძლებლობა, რაში მეც სავსებით ვეთანხმები.

ლიბერტარიანიზმი პოლიტიკური ფილოსოფიის თანახმად, მთავრობის ძირითადი მოვალეობაა ნებაყოფლობითი შეთანხმებათა განხორციელება, ინდივიდების შესაძლებლობების თანასწორობათა უფლების დაცვისათვის ხელშეწყობა და არავითარ შემთხვევაში – შემოსავლების განაწილების გათანაბრება.

PHILOSOPHICAL DOCTRINES OF INCOME DISTRIBUTION

PARMEN LEMONJAVA
Doctor of Economic Sciences, Professor

The income is the sum of the revenue expressed with money and all kinds of money earned from work by population.

The nature of the market economy is characterized by the principle of inequality in income distribution. In principle, there are specific determinants of economic inequality, such as: physical and mental ability differences, specific education level, scope of work nature that we inherited, the right time is a specialist in rural-agricultural and non-agricultural population in salaries between, and others.

Basically there are three philosophical doctrines about the nature of the income distribution.

First philosophical doctrine, utilitarianism whose founders are the English philosophers Jeremy Bentham (1748-1832) and John Stuart Mill (1806-1873) and the basic reference point is to maximize the benefits for all members of society.

The second philosophical doctrine liberalism was established by the American philosopher John Rawls. Theory suggests that the aim should be to improve the economic conditions of the people living in the worst conditions. The supporters of utilitarian doctrine John Rawls is fixing the welfare maximizing society's poorest people. It is known as Minimax Criterion.

The distribution of income is given in one more philosophical doctrine, which is known, as libertarianism. The founders of this doctrine are the American philosopher Robert Nozick and others who believe that the right to equality of opportunity and protection is more important than the discussion of profitability of equality.